განხილულია
შპს "სადუნის" პედაგოგიური საბჭოს
2023წლის 07 სექტემბრის N1 სხდომაზე

დამტკიცებულია
შპს "სადუნის" გენერალური დირექტორის
2023 წლის 07 სექტემბრის N--- ბრძანებით

შპს "სადუნი"
სასკოლო სასწავლო გეგმა

2023-2024 სასწავლო წელი

სასკოლო სასწავლო გეგმის სარჩევი

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სასწავლო წლის კალენდარი;
- დღის რეჟიმი;
- სასკოლო საათობრივი ბადე;
- გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრები;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
- ინკლუზიური განათლება;
- ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;
- სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები.

შესავალი

2023-2024 სასწავლო წლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე.

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე.

დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:

ა) ფუნდამენტური აკადემიური უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობას;

ბ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების, პოზიტიური აკადემიური თვითკონცეფციის (საკუთარი თავის, როგორც მსწავლელის, აღქმა) ჩამოყალიბებას და მოსწავლის მომზადებას საბაზო საფეხურისთვის;

საბაზო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:

ა) საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას;

ბ) მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენასა და მხარდაჭერას;

გ) მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას;

დ) აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობასა და საფუძვლების შექმნას განათლების მომდევნო საფეხურზე (აკადემიური, პროფესიული) სწავლის გაგრძელებისთვის ან პროფესიული საქმიანობისთვის;

საშუალო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:

ა) სისტემური აკადემიური და/ან პროფესიული ცოდნის კონსტრუირებას;

ბ) მოსწავლის მიერ საკუთარი პიროვნული განვითარების დაგეგმვისა და აკადემიური/პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერას.

შპს "სადუნის" დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები

მისია

შპს ,,სადუნის" უპირველესი მიზანია თითოეული მოსწავლის ინტელექტუალური და მორალურ-ზნეობრივი აღზრდა, რომელიც ეფუძნება სწავლა-აღზრდის ფუნდამენტურ პრინციპებს და გულისხმობს ტრადიციებისა და სიახლეების მეთოდურ სინთეზს.

მისიის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად ათვისებას; მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების, სამართალშემწყნარებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, ეროვნული ღირებულებების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას.

სკოლის მისიაა მოსწავლეებმა მიიღონ განათლება, და ის უნარები, რომლებიც დაეხმარება საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და პოტენციალის რეალიზებაში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს, გამოიმუშაონ ანალიტიკური აზროვნების უნარი, მოსწავლეს შეეძლოს გუნდური მუშაობის წარმართვა, განვითარდეს მრავალმხრივად და იყოს კანონმორჩილი, პატრიოტი და ტოლერანტი მოქალაქე. სკოლა მოსწავლეს უქმნის შემოქმედებით და თანამშრომლობით გარემოს, რაც ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას.

სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს, უვითარებს კულტურულ ფასეულობათა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და კანონის მიმართ პატივისცემას.

სკოლის პრიორიტეტებია სახელოვნებო, ლინგვისტური და შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება. იგი სთავაზობს მოსწავლეებს უცხო ენების მრავალფეროვან არჩევანს: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და რუსული ენები; სკოლაში ფუნქციონერებს მრავალი კლუბი. კლუბების მიზანია, ყველანაირი ინტერესის მქონე მოსწავლეს მისცეს საშუალება, მისთვის საყვარელ სფეროში მიიღოს უფრო ღრმა განათლება.

მისიის განხორციელება მოწმდება პერიოდულად, პედაგოგიური საბჭოს სურვილის შემთხვევაში. მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია პედაგოგიური საბჭოს სურვილით.

სკოლაში სწავლა და სწავლება ეფუძნება გუნდურობის პრინციპს, ჩვენი დევიზია _ ,,ვსწავლობთ ერთად და ერთმანეთისგან".

ხედვა

სკოლა ,,სადუნი" არის აკადემიური სივრცე, რომელიც ავითარებს ადაპტირებულ, სასწავლო-სამუშაო ინფრასტრუქტურას, ინარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას, ეფექტურად იყენებს ადამიანურ რესურსებს და ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

სკოლის ხედვაა წარმოადგენდეს ინოვაციურ, საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც უზრუნველყოფილი ექნება:

- თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდები და გამართული ხარისხის კონტროლის სისტემა;
- სკოლაში სწავლობენ როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებთაც აქვთ საკმარისი მოტივაცია ხარისხიანი განათლებისთვის;
- საიმედო პარტნიორებთან გრძელვადიანი თანამშრომლობა;
- მუდმივად განვითარებადი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ჩართული სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე მიმართულ ღონისძიებები;
- არაფორმალური განათლება ცოდნის ტრანსფერისთვის.

ღირებულებები

სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- **გამჭირვალობა:** ჩვენი საქმიანობა, ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისათვის, უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.
- **მიუკერძოებლობა:** ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.
- **თანამშრომლობა:** ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისთვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.
- **ობიექტურობა:** ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.
- **განვითარება და ინოვაციურობა:** სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. არ ვერიდებით სიახლეების დანერგვას.
- **პატივისცემა:** ჩვენ ვცდილობთ მოსწავლეებს/აღსაზრდელებს ვასწავლოთ ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემა.
- **ტოლერანტობა:** ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეულ ჩვენგანს ჰქონდეს სხვადასხვა კულტურული მრავალფეროვნების, რწმენის, თვალსაზრისის თუ ცხოვრების წესის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება.
- **ემპათია** - ვცდილობთ თითოეულ მოსწავლეს განვუვითაროთ სხვისი ემოციების გაგებისა და გააზრების უნარი, ვუბიძგოთ მათ თანაუგრძნონ და დაეხმარონ სხვებს.

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი

1. სკოლა უზრუნველყოფს:

ა) სიღრმისეულ სწავლას;

ბ) პოზიტიურ სასწავლო გარემოს;

გ) ინკლუზიურ განათლებას.

2. სიღრმისეული სწავლა-სწავლება გულისხმობს:

ა) მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას;

ბ) ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას;

გ) ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას;

დ) სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა);

ე) მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენას.

3. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს შემდეგი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას:

კრიტიკული აზროვნება	• მოსწავლეს ეძლევა ფაქტების ანალიზის, იდეების გენერირებისა და ორგანიზების, მოსაზრებების დაცვის, შედარების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა;
შემოქმედებითი აზროვნება	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება შეაფასოს პრობლემა და გამოწვევა სხვადასხვა პერსპექტივიდან, ჩამოაყალიბოს ალტერნატიული პასუხები და ხედვები, დაგეგმოს და შეიმუშავოს პრობლემის გადაჭრის საკუთარი მოდელი;
თანამშრომლობა	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება წარმატებით იმუშაოს სხვებთან ერთად საერთო მიზნის მისაღწევად. გაიაზროს საერთო პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან ერთად. გააცნობიეროს გუნდური მუშაობის პრინციპები და ურთიერთობის ფორმები;
კომუნიკაცია	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება დაამყაროს მიზნობრივი ურთიერთობა სხვებთან და გამოხატოს საკუთარი თავი, როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად კულტურისა და სიტუაციის შესაბამისად; იყოს აქტიური, კეთილგანწყობილი, ემპათიური მსმენელი, განახორციელოს უკუკავშირი და რეფლექსია; გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა კომუნიკაციის პროცესში;

ხასიათი/ ნებელობა	• მოსწავლეს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესწავლის, იდენტობის გააზრების, სწავლის პროცესის მართვის შესაძლებლობა. მხარდაჭერილია მოსწავლის პიროვნული ზრდის მოთხოვნილებები და წახალისებულია მისი თვითაქტუალიზაციის პროცესი; სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;
მოქალაქეობა	მოსწავლეს ეძლევა საშუალება სხვათა ღირებულებებისა და ფასეულობების გათვალისწინებით იმსჯელოს და იფიქროს იმ გლობალური/კომპლექსური საკითხების გაანალიზებასა და მოგვარებაზე, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანისა და გარემოს მდგრადობაზე. გააცნობიეროს უნივერსალური ეთიკის პრინციპები და ინდივიდის როლი და თანაშემოქმედებითობა საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

4. ინკლუზიური განათლება გულისხმობს:

ა) ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას;

ბ) მრავალფეროვნების დაფასებას;

გ) რესურსების თანაბრად განაწილების პოლიტიკას;

დ) დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასებას;

ე) ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს; სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენებას;

ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფას;

ზ) მოსწავლის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი საგანმანათლებლო გამოცდილების მართვაში; განივითაროს საკუთარი პოტენციალი და გახდეს მის გარშემო მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე;

თ) სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს უნდა გრძნობდეს სასკოლო თემის ნაწილად და საკუთარი წვლილი შეჰქონდეს მის განვითარებაში.

2023-2024 სასწავლო წლის კალენდარი

1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტრს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ჰყოფს ზამთრის არდადეგები.
2. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2023 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2024 წლის 14 ივნისი, გარდა XII კლასისა;
3. XII კლასის მოსწავლეთათვის სასწავლო წლის დაწყების თარიღია 2023 წლის 15 სექტემბერი, დასრულების - 2024 წლის 20 მაისი;

4. 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2023 წლის 29 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2024 წლის 15 იანვარს;
5. 2023-2024 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები:

უქმე დღეები			
11/23/2023	გიორგობის დღე		
1/19/2024	ნათლისღება		
3/8/2024	ქალთა საერთაშორისო დღე		
4/9/2024	სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე		
5/9/2024	ფაშიზმზე გამარჯვების დღე		
არდადეგები			
30.12.2023 - 15.01.2024 - ზამთრის არდადეგები			
08.03.2024 - 15.03.2024 - საგაზაფხულო არდადეგები			

- ✓ საშობაო არდადეგები - 30 დეკემბრიდან - 14 იანვრის ჩათვლით;
- ✓ საგაზაფხულო არდადეგები - 08 მარტიდან - 14 მარტის ჩათვლით;

6. სასწავლო კვირა ხუთდღიანია, გარდა მე-12 კლასისა, რომელიც სწავლობს ორშაბათს,სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს.
7 **2023 - 2024 სასწავლო წლის კალენდარი** (**დანართი N1**) სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

8. I-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 40 წუთი.

9. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 5 წუთი, მეოთხე და მეხუთე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთს.

I – XII კლასი		
გაკვეთილი	შესვლის დრო	გამოსვლის დრო
I	9:00	9:40
II	9:45	10:25
III	10:30	11:10
IV	11:15	11:55
V	12:25	13:05

VI	13:10	13:50
VII	13:55	14:35
VIII IX	14:40 15:25	15:20 16:05

კვების რეჟიმი:

- სადილი/სამხარი:

Iა კლასი - 12:30
სამხარი - 15:15

Iბ კლასი - 12:30
სამხარი - 15:30

Iგ კლასი - 12:20
სამხარი - 15:30

IIა კლასი - ორშაბათი - 12:30
სამშაბათი-12:30
ოთხშაბათი-12:30
ხუთშაბათი-12:30
პარასკევი-12:00
სამხარი - 15:30

IIბ კლასი -ორშაბათი - 12:30
სამშაბათი-12:30
ოთხშაბათი-12:30
ხუთშაბათი-12:30
პარასკევი-12:00
სამხარი - 15:00

IIგ კლასი - ორშაბათი - 12:30
სამშაბათი-12:30
ოთხშაბათი-12:30
ხუთშაბათი-12:30
პარასკევი-12:00
სამხარი - 15:30

IIIა კლასი - ორშაბათი-12:00
სამშაბათი-13:10
ოთხშაბათი-13:10

ხუთშაბათი-13:10
პარასკევი-12:00
სამხარი - 15:30

IIIბ კლასი - ორშაბათი-12:00
სამშაბათი-13:10
ოთხშაბათი-13:10
ხუთშაბათი-12:20
პარასკევი-13:10
სამხარი - 15:30

IVა კლასი - ორშაბათი-12:00
სამშაბათი-12:00
ოთხშაბათი-12:00
ხუთშაბათი-13:10
პარასკევი-13:10
სამხარი - 15:30

IVბ კლასი - ორშაბათი-13:10
სამშაბათი-13:55
ოთხშაბათი-13:10
ხუთშაბათი-12:25
პარასკევი-12:00
სამხარი - 15:30

IVგ კლასი - ორშაბათი-13:10
სამშაბათი-12:00
ოთხშაბათი-13:55
ხუთშაბათი-12:00
პარასკევი-12:00
სამხარი - 15:30

საგაკვეთილო ცხრილით განსაზღვრული პროცესის შემდეგ, მოსწავლეებს ეძლევათ 30 წუთიანი დასვენების საშუალება და შემდეგ იწყება სამეცადინო საათი და კლუბური მუშაობა.

სკოლაში სრულად სასწავლო პროცესი მთავრდება და ბავშვები სახლში მიემგზავრებიან შემდეგ დროს:

- ✓ I – VI კლასი 17:30 საათი
- ✓ VII – IX კლასი 16:30 საათი
- ✓ X – კლასი 15:30 საათი
- ✓ XI-XII კლასი-გაკვეთილების შემდეგ

მოსწავლეთა რაოდენობა

1. თითოეულ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 25 მოსწავლით.

განაყოფები

შპს“სადუნში” 2023-2024 სასწავლო წელს III-XII კლასები პირველ უცხოურ ენაში ქმნის განაყოფებს. V და IX კლასებში განაყოფები იქმნება მოსწავლეთა ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. ინგლისურ ენაში განაყოფები კომპლექტდება პარალელური კლასის მოსწავლეებით, ხოლო რუსულ ენაში განაყოფები იქმნება თუ მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 18 მოსწავლეს. შესაძლებელია კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, რუსულ ენაში განაყოფი შეიქმნას უფრო მცირე კონტიგენტიან კლასშიც.

მესამე უცხოურ ენაში V-IX კლასებში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია შეიქნას გერმანული, ფრანგული და ესპანური ენის განაყოფები (განაყოფები შესაძლებელია დაკომპლექტდეს პარალელური კლასის მოსწავლეებით ან გაერთიანდეს საფეხურის ფარგლებში). განაყოფის შექმნის შესახებ ბრძანებით რეგულირდება რომელი კლასი იყოფა და რომელი მოსწავლე რომელ განაყოფში ნაწილდება. **(დანართი 2)**

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

სკოლაში არის ხუთი საგნობრივი კათედრა:

- **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის, პრესკლუბის მასწავლებლები, ფსიქოლოგი;
- **მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, პროგრამირების, ისტ-ისა და კომპიუტერული მეცნიერებების, CALCULUS, მათემატიკის კლუბისა და კლუბი ,,რობოტიკის“ მასწავლებლები;
- **საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, ამერიკის კულტურა და ისტორიის USA HISTORY (ინგლისურად), არჩევითი საგნის გარემო და მდგრადი განვითარების, ამერიკისმცოდნეობის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, მითოლოგიისა და მოქალაქეობის, კლუბი ,,კლიომანისა“ და დებატების კლუბის, ქიმიის კლუბის მასწავლებლები;
- **უცხოური ენების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური, (ინგლისური ენა, Speaking, Language Arts) , რუსული, გერმანული, ფრანგული და ესპანური ენის მასწავლებლები;
- **სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, ცეკვის, არტ თერაპიის, ჭადრაკის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, კლუბის Dijital Photography, Drama Club-ის მასწავლებლები;

სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს.

კათედრების ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;

- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსა და გენერალური დირექტორისათვის წარდგენა;
- სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
- კათედრის წევრებიდან ირჩევა კათედრის თავმჯდომარე, ერთი სასწავლო წლის ვადით, ხმათა უმრავლესობით.

კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით). კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.

კათედრის ფუნქციები და მისი საქმიანობა რეგულირდება კათედრის დებულებით.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა
1. შეფასების მიზანი

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

2. შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. შეფასების პროცესში მოსწავლე განიხილება ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდად, რომელსაც უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არეალი მოქმედებისა და უკუკავშირისთვის.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;

ბ) მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;

გ) მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

3. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმავითარებელი შეფასება:
ა) აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს;
ბ) ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლე განმავითარებელი შეფასების აქტიური მონაწილეა და ჩართულია შეფასებისთვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

საკლასო შეფასების ფორმატში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
10	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
9		
8	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
7		
6	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
5		

4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება, ხოლო V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება.
განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება იყოს დიფერენცირებული და არადიფერენცირებული და შეიძლება განხორციელდეს საკლასო და სისტემურ დონეზე (ერთიანი ეროვნული გამოცდები, ეროვნული შეფასება, სტანდარტიზებული ტესტები, Cambridge KET, PET, FCE; PISA, PIRLS, TIMMS).

არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, არჩევით საგნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში. საშუალო საფეხურზე პროექტებში – სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი და /ან ზეპირი ფორმით).

1. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება ხდება შემდეგი პრინციპით:

№	საგანი	ასაკობრივი ჯგუფი	შეფასება
1.	ფსიქოლოგის საათი	I-II	განმავითარებელი
2.	ცეკვა	I-IV	განმავითარებელი
3.	ჭადრაკი	III-VI	განმავითარებელი
4.	რუსული ენა	II-IV	განმავითარებელი
5.	მითოლოგია	III-IV	განმავითარებელი
6.	არტ თერაპია	V-VI	განმავითარებელი
7.	III უცხოური ენა (გერმანული, ესპანური, ფრანგული)	V-IX	განმსაზღვრელი (10 ქულიანი სისტემით), განმავითარებელი
8.	რობოტიკა	VII	განმავითარებელი
9.	პროგრამირება	VIII-X	განმსაზღვრელი
10.	ამერიკის კულტურა და ისტორია	VIII, IX, XI	განმსაზღვრელი

III უცხოური ენა (გერმანული, ესპანური, ფრანგული) - არ ტარდება შემაჯამებელი დავალება საფეხურის გამოანგარიშებისას მესამე **უცხოური** ენის ნიშანი არ დაანგარიშდება.

4. საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი VI-XII კლასები),
გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).
დ) ქვიზი (VII-XI კლასები).
ე) ადმინისტრაციული წერა (VII-XI კლასები).

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, **საკლასო დავალებათა ტიპები** შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და ა.შ.
შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.
შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა და სხვ.).
ქვიზი და ადმინისტრაციული შეიძლება ჩატარდეს წერილობით და აღნიშნულს თითოეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს შესაბამისი კათედრა.

შემაჯამებელი დავალების, ქვიზის და ადმინისტაციული წერის აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების, ქვიზის და ადმინისტაციული წერის აღდგენა მოხდება მოსწავლის გამოცხადებიდან 2 კვირის ვადაში ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებაში, ქვიზსა და ადმინისტრაციულ წერაში 10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: მიღებული ქულა უნდა გამრავლდეს 10-ზე და გაიყოს მაქსიმალურ ქულაზე (მაგ. თუ შეფასების რუბრიკა არის 40 ქულიანი და მოსწავლემ მიიღო 27 ქულა, ქულის კონვერტაცია ხდება შემდგი სახით: (27*10:40=6,75).

7. ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში ყველა კომპონენტში - საშინაო, საკლასო, შემაჯამებელი დავალების, ქვიზის და ადმინისტრაციული წერაში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, ქვიზი, ადმინისტრაციული, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად ყველა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების, ქვიზის და ადმინისტრაციული წერის რაოდენობის ჯამზე;

ე) სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე; იმ შემთხვევაში, თუ საგანში ტარდება გამოცდა, წლიური ქულა გამოანგარიშდეგბა შემდეგნაირად: პირველი სემესტრის, მეორე სემესტრის და შუალედური გამოცდის ქულების ჯამი გაიყოფა სამზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

გ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადმოსვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, შპს "სადუნმა" უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

დ) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადმოსვლის გამო, შპს "სადუნში" განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

4. საგნის საფეხურის ქულა - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;

5. საფეხურის ქულა გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

კლასის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა". დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.

შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.
2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- **საშემოდგომო გამოცდა;**
- **ექსტერნატის გამოცდა;**
- **სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა;**
- **შუალედური გამოცდა.**

10.1 საშემოდგომო გამოცდა და რემედიაციის პროგრამა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში;
2. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ქმნის რემედიაციის პროგრამას თითოეული მოსწავლისათვის.
3. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მიმღები სკოლა მოსწავლეს რიცხავს ასაკის შესაბამის კლასში და იღებს ვალდებულებას რემედიაციის გზით საგნის/საგნების დაძლევის თაობაზე.
4. რემედიაციის პროგრამა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით სკოლა სთავაზობს იმ მოსწავლეებსაც, რომლებიც არიან სკოლის მიღმა ან იმყოფებიან სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ. კურიკულუმის შინაარსს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვარვს თავად სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.
5 საშემოდგომო გამოცდაზე მიღებული ქულა ხდება საგნის წლიური ქულა;
6. სკოლში საშემოდგომო გამოცდები ჩატარდება წერილობითი ფორმით შემდეგი სასწავლო წლის დაწყებამდე.

10.2 ექსტერნატის ფორმით გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

10.3 სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა

1. სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
2. სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.
3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: **გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.**
5. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

10.4 შუალედური გამოცდა

1. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შუალედური გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:

	საგანი	**კლასი**
იანვარი	სფიქინგი	
	ამერიკის ისტორია	

	საგანი	**კლასი**
აპრილი	კალკულუსი	
	პროგრამირება	
ივნ	**საგანი**	**კლასი**

	ქართული	
	მათემატიკა	
	ინგლისური	
	დამატებითი საგანი მოსწავლეებთან შეთანხმებით	VII-XI

2. შუალედური გამოცდის ქულა ემატება სემესტრულ ნიშნებს და ჯამში იყოფა სამზე.

შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები

1. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.
2. ვერიფიკაციის ამოცანებია:
ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან;
ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი;
გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;
3. მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის (მაგ. მოსწავლისათვის მიცემული ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ტესტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მოსწავლისათვის მიცემული დავალების შეფასების პროცესის (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების (მოსწავლის მიერ შესრულებეული ტესტის, დავალების, პროექტის, ნაშრომის და ა.შ) ვერიფიკაცია.

4. შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლამ შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით

გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს სემესტრული ნიშნის ამაღლება თუ მიღებული ქულა არ აკმაყოფილებს.

ვერიფიკაციის პრინციპები

1. მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

2. შეფასების სისტემა **ვალიდურია,** თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

3. შეფასების სისტემა **სანდოა,** თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

4. შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა,** თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაციაწინასწარ არის ცნობილი ყველა მოსწავლისათვის

5. შეფასების სისტემა **სამართლიანია,** თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის,- შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, თუ შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

6. შეფასების სისტემა **ობიექტურია,** თუ ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

ვერიფიკაციის პროცესი

1. შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემსტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ. წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან) ან გეგმიურად (საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს).

2. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;

ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;

გ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;

დ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;

ე) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;

ვ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;

ზ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;

თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;

ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;.

3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს, წინამდებარე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ხდება ვერიფიკაციის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები

შეფასების სისტემის ვერიფიკაცია შესაძლებელია განახორციელოს:

- დირექტორის მოადგილემ;
- შესაბამისმა საგნობრივმა კათედრამ (ურთიერთადსწრების, შეფასების რუბრიკების შემუშავების, შემაჯამებელი დავალების, ქვიზის, ადმინისტრაციული წერი ანალიზის დროს);
- დირექტორის მიერ შექმნილმა კომისიამ (მაგ. სემესტრული გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილმა კომისიამ);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფმა მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება/კომპეტენციების შემოწმება).

საათობრივი ბადე

მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების, ასევე სკოლის ადამიანური და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N3 სახით თან ერთვის დასწრებითი სწავლების სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა კვირეული დატვირთვის ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით.

სკოლას არჩევითი საგნების სახით არჩეული აქვს:

საგნის დასახელება	კლასი
ამერიკისმცოდნეობა	X კლასი
კომპიუტერული მეცნიერებები	XI კლასი
გარემო და მდგრადი განვითარება	XII კლასი

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N4 სახით თან ერთვის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების მიხედვით

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელო/სერია;

გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;

დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

მათემატიკა: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი, ფარგალი(დაფის) სახაზავი (დაფის) სივრცული ფიგურები:პირამიდა, პრიზმა,მართკუთხა პარალელეპიპედი, კუბი, ცილინდრი, კონუსი, მართკუთხა სამკუთხედი (დაფის), ლეპტოპები.

ქართული: ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები და გრამატიკული სქემები ა.შ

საზოგადოებრივი მეცნიერებები: რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები, კომპასი, გლობუსი და ა.შ

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ლაბორატორიის სრული კომპლექტი, სპეციალური აღჭურვილობა საბუნებისმეტყველო ლაბორატოორიისთვის, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები, ლეპტოპები, პროექტორი და ა.შ

საზოგადოებრივი მეცნიერებები: საქართველოს ფიზილური და ადმინისტრაციული რუკები, მსოფლიო პოლიტიკური რუკა, ცხრილები, პროექტორი, დაფა, კომპიუტერები, სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკა, თეატრი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და ა.შ. CD, და ა.შ

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დაზგა, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები და პლაკატები, ფანქრები, სახატავი მასალები და ა.შ..

უცხოური ენები: მოდელები, პლაკატები, ანბანი, საკანცელარიო ნივთები, ცხრილები, პროექტორი, დაფა, კომპიუტერები, სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკა, CD-ს მოსასმენი აპარატურა,

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N5 სახით თან ერთვის სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებული იქნება 2023-2024 სასწავლო წელს.

შპს "სადუნს" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით ინგლისურ ენაში არჩეული აქვს ალტერნატიული სახელმძღვანელოები., რომელიც დანართის სახით ერთის სასკოლო სასწავლო გეგმას. (დანართი 6)

სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელდება ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე.

ციფრული ტრანსფორმაცია

სკოლას გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართვისთვის. შესაბამისად, სკოლაში უზრუნველყოფილია საგაკვეთილო პროცესის წარმართვა კომპიუტერული რესურსების გამოყენებით.
მასწავლებლების ნაწილი აღჭურვილია პორტატული კომპიუტერით, სკოლას აქვს მოძრავი პროექტორები. სკოლაში შემუშავებულია კომპიუტერული რესურსით სარგებლობის განრიგი. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ელექტრონული რესურსებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნან ელექტრონული რესურსები.
სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და დამტკიცებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. მოსწავლეებს აქვთ თანაბარი ხელმისაწვდომობა კომპიუტერულ ლაბორატორიაზე. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები. კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. გარდა ამისა, სხვადასხვა საგნის კურიკულუმის შესაბამისად, კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახებში არსებული ტექნიკა საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი დაიგეგმოს და წარიმართოს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.
კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, მონაცემთა შეგროვება და დამუშავება, ელექტრონული რესურსების შექმნა, გამოყენება, უზრუნველყოფილია სკოლის საინფორმაციო მენეჯერის ჩართულობითა და ხელშეწყობით.

შინ სწავლება

სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვის ან მეტი ვადით და მშობლის მიმართვის შედეგად აღნიშნული გარემოებები ცნობილი ხდება სკოლისათვის.

სკოლის მიერ შედგენილი განრიგის შესაბამისად, სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი, ახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს ან დისტანციურად უტარებს გაკვეთილს; (შესაძლებელია განსაზღვრული მასწავლებლი არ ასწავლიდეს შინსწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეს).

მოსწავლის შინსწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინსწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ ერთი გაკვეთილის ჩატარებას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (შემდგომში - სსსმ) არის მოსწავლე, რომელიც არის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, აგრეთვე მოსწავლე, რომელიც სასწავლო პროცესში დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს, აქვს სწავლასთან ან/და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი, გახანგრძლივებული სირთულეები ან/და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მინიმალურ დონეზე ვერ აკმაყოფილებს;
2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომ – მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე. ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების, შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების, დამატებითი სპეციალისტის მომსახურების, სასწავლო პროცესისა და გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროება.
4. ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლისათვის გეგმავს და ახორციელებს ქართული ენის შესწავლის ხელშემწყობ აქტივობებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწლია.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

6. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი;
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

- სკოლის კიბეებზე გაკეთებულია მოძრავი პანდუსი, რომლის საშუალებითაც მათი ყოლის შემთხვევაში იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.
- სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
- ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
- სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
- სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);

- ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
- სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზაობას აცხადებს მისი მიღების შემთხვევაში ყველა პირობა შეუქმნას და შეუდგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N7 სახით თან ერთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

დამატებითი მომსახურების საჭიროების დასაბუთება

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურილი, სპორტული და სხვა მიმართულებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც.

ამ მხრივ, სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

№	საგანი	ასაკობრივი ჯგუფი	ფაკულტატური	სავალდებულო	სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული
1.	ფსიქოლოგის საათი	I-II		+	+
2.	ცეკვა	I-IV		+	+
3.	ჭადრაკი	III-VI		+	+
4.	რუსული ენა	II- IV		+	+
5.	მითოლოგია	III-IV		+	+
6.	III უცხოური ენა (გერმანული, ესპანური, ფრანგული)	V-IX		+	+
7.	პროგრამირება	VII-IX		+	+
8.	ამერიკისმცოდნეობა	VIII-XI		+	+

9.	არტ თერაპია	V-VI		+	+
10.	მათემატიკის კლუბი	IV-V	+		+
11.	დებატების კლუბი	VII- XI	+		+
12.	კლიომანი	VIII-XII	+		+
13.	PRESS CLUB	VII-XI	+		+
14.	ქიმიის კლუბი	VIII-XI	+		+
15.	Drama club	VIII-XII	+		+
19	Digital Photography	VIII-XII	+		+

❖ ფსიქოლოგის საათი I – II

სკოლის ფსიქოლოგის მიზანია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ხელშეწყობა საჭირო უნარების განსავითარებლად. ის აკვირდება ბავშვების გონებრივ განვითარებას, სწავლას, ქცევას და ეხმარება მათ, ჰქონდეთ წარმატებები აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ სფეროებში. სკოლის ფსიქოლოგი თანამშრომლობს ოჯახებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და სხვა პროფესიონალებთან, რათა შექმნას ძლიერი კავშირი სკოლასა და სახლს შორის.

სკოლაში ფსიქოლოგის მუშაობა ითვალისწინებს შემდეგი ტიპის დახმარებებს:

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება: დამრიგებელ-კოორდინატორების მიერ მოწოდებული ინფორმეციის საფუძველზე ის ცდილობს, იპოვოს დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი და შესაბამისად დაგეგმოს ჩარევის სქემა.

ქცევის გაუმჯობესება: ამ მიზნის მისაღწევად სკოლის ფსიქოლოგი ზრუნავს მოსწავლეების კომუნიკაციური და სოციალური უნარების ამაღლებაზე, მათი ემოციური და ქცევითი საჭიროებების გამოვლენაზე, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებით ცდილობს მიაწოდოს ასწავლოს მათ პრობლემის აღიარება, ბრაზის მართვა და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გზები;

პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნა: სკოლის ფსიქოლოგი უზრუნველყოფს ბულინგისა და ძალადობის სხვა ფორმების პრევენციას; უზრუნველყოფს შესაბამის შეხვედრებს და ტრენინგებს ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ოჯახსა და სკოლას შორის ძლიერი კავშირის ჩამოყალიბება: სკოლის ფსიქოლოგი საჭიროების შემთხვევაში, აწვდის დამრიგებელ-კოორდინატორს ინფორმაციას მოსწავლეების ფსიქოლოგიური მდგომარეობის თაობაზე, იღებს მათგან უკუკავშირს და გეგმავს ერთობლივი ჩარევის სტრატეგიას. უზრუნველყოფს ოჯახსა და სკოლას შორის ძლიერი კავშირის ჩამოყალიბებას.

სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა: განსაზღვრავს მათ საჭიროებებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით, აქტიურ მონაწილეობას იღებს ისგ ჯგუფის მუსაობაში.

❖ მათემატიკის კლუბი IV-V (ფაკულტატური)

მათემატიკა ისწავლება **IV-V კლასებში.** წრის მუშაობის მიზანია მათემატიკის სამყაროს გაცნობა. შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში და ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება. მათემატიკის სწავლებით საფუძველს შევუქმნათ შესაბამისი უნარების, მათ შორის, ინტელექტუალური უნარების, აბსტრაქტული უნარების ჩამოყალიბებას. ჯგუფური მუშაობით ხელს შევუწყობთ სწავლებისა და აღზრდის ერთიან პროცესად წარმართვას.
მოსწავლეები შეძლებენ ლოგიკური ამოცანების ამოხსნას; გეომეტრიულ მასალაზე მუშაობას; გაუადვილდებათ საყოფაცხოვრებო ამოცანების ამოხსნა; დაინტერესდებიან სააზროვნო ამოცანების ამოხსნით; შეასრულებენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რიცხვებზე მოქმედებებს; შეძლებენ დიდი რიცხვების წაკითხვას; ისწავლიან გამრავლების ცხრილს; განუვითარდებათ ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნის უნარჩვევა; დაინტერესდებიან და შეძლებენ ტესტური სავარჯიშოების შესრულებას. კურსის ფარგლებში მოსწავლეები უფრო ღრმად შეისწავლიან სააზროვნო ამოცანების ამოხსნას. გამოიმუშავებენ ინტელექტუალურ უნარებს.

❖ ცეკვა I – IV

ცეკვის სწავლების მიზანია: ცეკვის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება; საცეკვაო-შემოქმედებითი უნარის განვითარება; პლასტიკური გამომსახველობის, კოორდინაციის, მოძრაობის კულტურის გამომუშავება, ტანადობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
ამ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ცეკვის სწავლება ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას: მოტორული მეხსიერებისა და რიტმის გრძნობის განვითარება; საკუთარი სხეულის ფლობისა და მუსიკის ხასიათის გადმოცემის უნარის განვითარება; ქართული ხალხური ცეკვის ძირითადი ელემენტების შესწავლა; საცეკვაო კულტურის ზოგადი გაცნობა; მოსწავლეების ჩართვა შემოქმედებით პროცესში. მოსწავლეები მონაწილეობენ ერთობლივ შემოქმედებით პროცესში, ესწრებიან და მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში, იღებენ ინფორმაციას შესწავლილი ცეკვების შესახებ.

❖ ჭადრაკი III– VI

ჭადრაკის სწავლების მიზანია, მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნების, მეხსიერების, გააზრებული რეგულაციების მიხედვით ქმედებების განხორციელების, დამოუკიდებელი განსჯის, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების, თანმიმდევრულობისა და მოთმინების ჩვევების გამომუშავება და მათი განვითარების ხელშეწყობა.მოსწავლე სწავლობს თამაშს, ეცნობა ჭადრაკის ისტორიასა და თეორიას. ჭადრაკი ხელს უწყობს ბავშვის ინტელექტუალურ ზრდას, ავითარებს დამოუკიდებლად მოქმედების უნარს, აუმჯობესებს მეხსიერებას, აჩვევს მოვლენების გაანალიზებასა და სწორი გზის პოვნას. ჭადრაკის სწავლება იწყება საჭადრაკო დაფის ფლობის, საჭადრაკო ფიგურების ამოცნობის, ელემენტარულ

რეგულაციებთან ადაპტაციის, ჭადრაკის სახალისო ისტორიების გაცნობით, ბავშვები პარტიის მსვლელობის, ფიგურათა დაფაზე განლაგებისა და ჩაწერის განსაკუთრებულ სისტემას სწავლობენ; ჭადრაკის სწავლება მოიცავს თამაშის წესების, მისი ცალკეული სტადიებისა და მათი გათამაშების პრინციპების ცოდნას, აგრეთვე ჭადრაკის თეორიის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზს.

❖ რუსული ენა II – IV

უცხოური ენის სწავლება სამი მიმართულებით უნდა გაიშალოს: 1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა/მოსმენა-ყურება და ლაპარაკი), 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა), 3. ინტერკულტურა. მოსმენა/მოსმენა-ყურება და ლაპარაკი ისეთი ტიპისა და შინაარსის ტექსტებს საჭიროებს, რომლებიც სირთულით შეესაბამება სტანდარტით მოთხოვნილ დონეს. ასეთი ტიპის ტექსტებისთვის გამოყენებულ იქნება თემატური დიალოგი, მონოლოგი, ინტერვიუ, სკეტჩი, რიტმული ტექსტი, რეპი და მისთ. კითხვისა და წერის თანმხლებ სტრატეგიებია მეგობრული წერილი, დღიური, ამბავი, მენიუ, კულინარული რეცეპტი, ფილმის ანოტაცია, ცნობარი და სხვ. მიმართულება ინტერკულტურა ემსახურება ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენას, განსხვავებული ღირებულებების, მენტალობების გაგებას. ამდენად, წარმატებული კომუნიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სამეტყველო უნარ-ჩვევებზე, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებისა და პატივისცემის უნარზეც. მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, ამოიცნონ უცხო კულტურის თავისებურებები, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, შეაფასონ და პარალელები გაავლონ საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან. ასეთი სახის აქტივობები მოსწავლეებს კულტურული კუთვნილების განცდას გაუძლიერებს, საშუალებას მისცემს, გააცნობიერონ კულტურული მრავალფეროვნება, ასწავლოს საკუთარი და უცხოური კულტურის დაფასება.

❖ III უცხოური ენა (გერმანული, ესპანური, ფრანგული) V-IX

ენების სწავლების მიზანი საგნობრივი კარჩაკეტილობის დაძლევაა, ენობრივ-კომუნიკაციური უნარები გამჭოლი ხასიათისაა – ამ უნარების დაუფლება მოსწავლეს ნებისმიერი საგნის ათვისების პროცესში სჭირდება. ინტეგრირებული დიდაქტიკა გულისხმობს ენების სწავლისას მიღებული გამოცდილების ურთიერთდაკავშირებას, მოსწავლის მიერ შეძენილი გამოცდილების გადატანის ხელშეწყობას ერთი ენიდან მეორეში. ასეთი მიდგომა განამტკიცებს უნარებს, ამდიდრებს გამოცდილებას და ზრდის მოსწავლეთა ქმედუნარიანობას. უცხოური ენის ათვისების პრიორიტეტული მახასიათებელია მოსმენა, თავისებური მეთოდოლოგიით მიმდინარეობს კითხვის პროცესი, მნიშვნელოვანია წერის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება. უცხოური ენის *სწავლა* ნიშნავს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენას, განსხვავებული ღირებულებების, მენტალობების გაგებას. ამდენად, წარმატებული კომუნიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სამეტყველო უნარ-ჩვევებზე, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებისა და პატივისცემის უნარზეც. სწორედ ამ უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება მესამე უცხოური ენის სწავლება.

❖ დებატების კლუბი VII-VIII (ფაკულტატური)

დებატები ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ის ხელს უწყობს ეფექტური კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას, ასევე დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიების და კონკრეტული საკითხის კვლევის უნარებს. დებატები მონაწილეს გუნდური მუშაობის უნარებს გამოუმუშავებს, ასევე იმ უნარებს, რომელსაც ის გამოიყენებს სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურში, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცვხოვრებაში... იგი ეხმარება პიროვნებას დამოუკიდებელი საზოგადოების ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. დებატები ასწავლის მოქალაქეებს ტოლერანტობის პრინციპებს, შემწყნარებლობას, საპირისპირო აზრის პატივისცემას...დებატებით შესაძლებელია იდეების თავისუფალი გაცვლა, მისით მიიღწევა საერთაშორისო ურთიერთგაგება და თანამშრომლობა.

❖ მითოლოგია III- IV (სავალდებულო)

მითოლოგიის სწავლების მიზანია, მოსწავლე გაეცნოს სიტყვიერების საუკეთესო, კლასიკურ ნიმუშებს, წარმოდგენა შეექმნას მის მასშტაბზე და გაიაზროს ხალხური სიტყვიერება, როგორც თავისთავადი შემოქმედება; გაეცნოს ქართულ მითოლოგიას, ზოგადად, მითოლოგიურ სიმბოლოებს და მითოლოგემებს, გაიაზროს მათი გენეზისი და შეძლოს პარალელების გავლება ქართულ და სხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებას შორის.
შემდგომში, სასკოლო განათლების მიზნების შესაბამისად, მიღებული *ცოდნა* დაეხმარება მოსწავლეს, ხალხური შემოქმედების ფასეულობებთან ზიარებით გაიფართოოს ზნეობრივ-ინტელექტუალური თვალსაწიერი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰარმონიული განვითარების პროცესს.

❖ კლიომანი VIII-XII (ფაკულტატური)

კლუბის მიზანია მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა ისტორიის საგნის სწავლაში, მათი მოტივაციის ამაღლება, საუკეთესოების გამოვლენა და წახალისება. კლუბი შევსებულია VIII-XII კლასის მოსწავლეებით. თამაშები ჩატარდება ორ-ორი გუნდის ერთმანეთთან დაპირისპირებისა და გამარჯვებულის შემდეგ ეტაპზე გადასვლის პრინციპით. 2024 წლის მაისში კი გაიმართება ფინალური დაპირისპირება წლის გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად. გამოვლინდებიან სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები: საუკეთესო მოთამაშე, პროექტის აღმოჩენა (მოთამაშე), ჟიურის სიმპათია (გუნდი) საუკეთესო პასუხის ავტორი (მოთამაშე), საუკეთესო წამყვანი.

❖ ქიმიის კლუბი VIII-XI (ფაკულტატური)

ქიმიის კლუბში გაერთიანებული იქნებიან VIII-XI კლასების ქიმიის მეცნიერებით დაინტერესებული მოსწავლეები: კლუბის მიზნებია:
ქიმიის მეცნიერებისადმი ინტერესის გაზრდა;
მოსწავლეთა კვლევის, სინთეზის, ანალიზის, დისკუსიის უნარების გამოვლინება და ჩამოყალიბება;

პრეზენტაციის უნარის ჩამოყალიბება;
პრობლემის გადაჭრის უნარის გამოვლენა;
წყვილებში, ჯგუფებსა და ინდივიდუალურად მუშაობის გამოცდილების მიღება-გაზიარება;
მიღებული ცოდნის ადაპტირება ყოფა-ცხოვრებაში.

❖ პრესკლუბი VII-XI ((ფაკულტატური)

სასკოლო პრესკლუბის მიზანია ხელი შეუწყოს განათლებული, წიგნიერი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებელი შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობა, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენება.

- ❖ კლუბის ამოცანები.
- ❖ 1. განავითაროს კლუბის წევრების ნიჭი ინტელექტუალურ, შემოქმედებით, საკომუნიკაციო სფეროებში, რაც გულისხმობს სოციალურად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს საკუთარი ნიჭისა და უნარების რეალიზებას ნებისმიერ ახალ და უჩვეულო სიტუაციაში;
- ❖ 2. სწავლების ინდივიდუალიზება სტუდენტებისთვის პროფესიული და ეთიკური სტანდარტების ჩამოყალიბებასთან ერთად, რათა შეძლონ გუნდში მუშაობა, რომელიც ჩართულია მაღალი ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებაში;
- ❖ 3. გააერთიანოს მონაწილეები აქტიური საინფორმაციო გარემოს შესაქმნელად;
- ❖ 4. ასწავლოს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად;
- ❖ 5. განუვითაროს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს ერთმანეთთან წარმატებული კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი;
- ❖ 6. გამოუმუშავოს მონაწილეებს დამოუკიდებელი ინტელექტუალური შემოქმედებითი მუშაობის მოთხოვნილება;
- ❖ 7. ჩამოუყალიბოს მონაწილეებს პროფესიული ორიენტირები.~

❖ არტ თერაპია (სავალდებულო)

არტ თერაპია არის საკუთარი თავის შემოქმედებით თვითგამოხატვა და გარემოს უკეთ გააზრების შესაძლებლობა. არტ თერაპიის ერთ -ერთი მთავარი ამოცანა გრძნობებისა და გონების კავშირის აღდგენაა. არტთერაპიის საშუალებით ხდება ემოციური და პიროვნული განვითარების პირობის შექმნა ავითარებს ლოგიკური აზროვნების უნარს, ამაღლებს თვითშეფასებისა და საკუთარი ქმედებების კონტროლს; აუმჯობესებს სოციალურ უნარებს, ყურადღების კონცერტრაციის უნარს.

❖ ფოტოგრაფია (ფაკულტატური)

კლუბის მიზანია ფოტოხელოვნება გახადოს უფრო მარტივად გასაგები და მიმზიდველი. ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ კამერის, როგორც ტექნიკური მხარე და ასევე განასხვავონ ფოტო, როგორც ხელოვნების ნიმუში, უბრალო ფაქტის კონსტანტაციისგან.

ფოტოკლუბი ქმნის პირობებს მისი წევრების შემოქმედებითი ზრდისთვის. ხელს უწყობს სამოყვარულო ფოტოგრაფიის განვითარებას.

❖ Drama club (ფაკულტატური)

დრამის კლუბი განკუთვნილია დრამატურგიით, კინოთეატრითა და სამსახიობო ოსტატობით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის. **კლუბის მიზნებია:**

დრამატურგიითა და სამსახიობო ოსტატობით დაინტერესებულ მოსწავლეთა აღმოჩენა, მათთვის ამ მიმართულების განვითარებისთვის საჭირო გარემოს შექმნა და განვითარების ხელშეწყობა. დრამის კლუბი ხელს უწყობს წევრების: აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას; ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას; წარმოდგენებში ჩართვას.

STEM მიმართულება
მათემატიკის პროგრამები

❖ რობოტიკა (ფაკულტატური)

რობოტიკა ხელს უწყობს ციფრული მოქალაქეობის განვითარებას, ციფრულ სამყაროში არსებული შესაძლებლობების პასუხისმგებლობით გამოყენებას; მოსწავლეებს უვითარებს ალგორითმულ აზროვნებას; პროგრამულ კოდთან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევებს; შემოქმედებით მიდგომებს პროგრამული პროდუქტების (კომპიუტერული პროგრამები, კომპიუტერული თამაშები და ა.შ.) შექმნისას.

❖ პროგრამირება (სავალდებულო)

კურსის მიზანია მოსწავლე გაეცნოს კომპიუტერული მეცნიერების საფუძვლებს, შეაფასოს მეცნიერების გამოყენების სფეროები და ამ სფეროებში დასაქმების პერსპექტივები. საფუძველი ჩაუყაროს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ დამოუკიდებლად გააგრძელონ საკუთარი შესაძლებლობების განვითარება სასურველი მიმართულებით. მოსწავლეები გაეცნობიან: დაპროგრამების საფუძვლებს, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სისტემების გამოყენებას, ციფრული მასალის შექმნას. განივითარებენ გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს, შემოქმედებით და ლოგიკურ აზროვნებას. კურსის მიზანია მოსწავლეებმა შეზლონ მიღებული ცოდნის გამოყენება . ბლუმის მიხედვით, გამოყენება განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად, იგი გულისხმობს ადრე ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას; კერძოდ:

- ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში (კონტექსტში) მოხმარებას;
- მოდელის მიხედვით (ნასწავლი წესის მიხედვით) დავალების, სამუშაოს შესრულებას;
- პროცედურის განხორციელებას;
- კანონზომიერების მოქმედების ფარგლების განსაზღვრას.

ზემოთ აღნიშნული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების/საგნების სასწავლო პროგრამები დანართი N8 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მიზანია:

- მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
- მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით.

პროფესიის არჩევა - ნიშნავს არა მხოლოდ სამუშაოს არჩევას, არამედ იმასაც, თუ საზოგადოების რა ჯგუფთან (ეთიკური ნორმები, წესები, პრინციპები, ფასეულობები და ცხოვრების წესი) მოახდენ იდენტიფიკაციას.

პროფესიის არჩევის პროცესი მოსწავლისათვის უნფრო ნათელი და თანმიმდევრული გახდება თუკი შემდეგი კითხვების მიხედვით იმსჯელებს : რა უნდა? რა შეუძლია? საჭიროა?

პროფესიის განსაზღვრის პროცესი მრავალ ასპექტს მოიცავს, უპირველესად კი მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს:

- ვინ უნდა გამოვიდეს;
- რომელ სოციალურ ჯგუფს უნდა რომ მიაკუთვნოს თავი;
- ცხოვრების როგორი სტილი სურს;
- რა მიზნებს ისახავს მომავლისათვის.

პროფესიული მოღვაწეობა პიროვნების თვითრეალიზაციისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ძირითადი საშუალებაა. მაგრამ თვითრეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანს აინტერესებს არჩეული პროფესია, გააჩნია მის შესასრულებლად საჭირო უნარი და არსებული სამუშაოს შესრულებით იღებს კმაყოფილებას.

IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი.

8 გაკვეთილი - IX კლასში

4 გაკვეთილი - XI კლასში.

სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან რომლის ფარგლებშიც XI-XII კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ საუნივერსიტეტო პროგრამებს. უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ზოგადი ასპექტები მოიცავს:

- მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით ;
- მოსწავლეთათვის საუნივერსიტეტო პროგრამების გაცნობას;
- ღია კარის დღეების ორგანიზებას;

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

სკოლა იცავს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით აღიარებულ მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებას. მათ შორის:

1. სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის.
2. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით.
3. სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.
4. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.
5. სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
6. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.
7. სკოლაში სასკოლო დისციპლინა დაცულია სკოლის შინაგანაწესით.
8. სკოლის მოსწავლე სარგებლობის მობილობის უფლებით, რის შესახებაც ინფორმირებულია მოსწავლის მშობელი.
9. სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი ფლობს ინფორმაციას საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რის გაცნობასაც უზრუნველყოფს სკოლა დამრიგებლების მეშვეობით.
10. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა).
11. სკოლა მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით.
12. მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
2. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;
3. სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.
4. ადმინისტრაციული მენეჯერი შესაბამისი კლასის დამრიგებელ-კოორდინატორს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;
5. აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი აწვდის კლასის დამრიგებელ-კოორდინატორს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;
6. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
7. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
8. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
9. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;
10. დამრიგებელ-კოორდინატორი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

❖ სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები

სასკოლო კურიკულუმის აგების პრინციპები

სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია თითოული **საგნობრივი ჯგუფის სამიზნე ცნებების მიხედვით, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და პრინციპების რეალიზება/საგნის სწავლა-სწავლების შედეგების ჩამოყალიბება:**

სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი.

სტანდარტს ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში ამა თუ იმ თემის შესწავლისას. ინდიკატორები დაკონკრეტებულია ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმები, რომელიც დანართი N9 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

საგნობრივი კურიკულუმის აგების პრინციპები

თითოეული საგნობრივი კურიკულუმი აგებულია შემდეგი პრინციპით: ის მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო თემებს, გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს, სწავლის შედეგებს), საკითხებს, შემოქმედებით პროდუქტს და სასწავლო რესურსს.

1. სასწავლო თემა წარმოადგენს მოსწავლეთათვის ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

2. გრძელვადიანი მიზნები

გრძელვადიანი მიზნები მოიცავს სამიზნე ცნებები და სწავლის შედეგებს - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.

ა) სამიზნე ცნებები - განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს;

ბ) სწავლის შედეგები - განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგნის ფარგლებში საფეხურის ბოლოს?

3. საკითხები - მისი საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რა საკითხებით წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში.

4. შემოქმედებითი პროდუქტით განისაზღვრება თითოული თემის ფარგლებში მიღწეულია თუ **არა** შუალედური სასწავლო მიზანი და რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს.

5. სასწავლო რესურსები - აკონკრეტებს რა მასალის მეშვეობით უნდა ისწავლოს მოსწავლემ კონკრეტული თემა

სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესების აღწერა

სტრატეგიული გეგმის განვითარება

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2023-2030) გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან. სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

- **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;**
- **ადამიანური რესურსის განვითარება;**
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;**
- **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;**
- **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;**
- **მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;**
- **ორგანიზაციული განვითარება.**

სტრატეგიული გეგმის განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები:
ა) სკოლის დირექცია და დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
ბ) სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი).

SWOT ანალიზი

1. ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა.
2. SWOT ანალიზით განისაზღვრება ოთხი ძირითადი მიმართულება:
2.1. ძლიერი მხარეები;
2.2. სუსტი მხარეები;
2.3. შესაძლებლობები;
2.4. საფრთხეები;
3. SWOT ანალიზის დროს სისუსტეების გამოვლენა ემსახურება იმ მიზანს, რომ ისინი არსებული შესაძლებლობის ფარგლებში დაძლეულ იქნეს და ტრანსფორმირდეს სკოლის ძლიერ მხარეებად. საფრთხეების წინასწარი შეფასება კი საშუალებას იძლევა, რომ სკოლა მზად დახვდეს სავარაუდო გამოწვევებს და მინიმუმამდე შეამციროს შესაძლო ზიანი.
4. SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმისადა SWOT ანალიზზე „დაყრდნობით სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც აზუსტებს მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებსა და შესაბამის რესურსებს.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი

1. სტრატეგიული გეგმის განვითარების პროცესში სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რომელიც უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ. ასევე, ხელს უწყობს

პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას.

2. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები.

3. სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს შესაბამისი ჯგუფი

4. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები.

5. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ქვემოთ მოცემული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

სტრატეგიული მიმართულება	ამოცანები	აქტივობები	მონიტორინგის შედეგები			
			შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა

6. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.

7. სამოქმედო გეგმის ანგარიშში სკოლამ შესაძლებელია შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში/სტრატეგიულ გეგმაში. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშ(ებ)ი, განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

პერსონალის მართვა და განვითარება

პერსონალის მართვისა და განვითარების კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მოიცავს პოლიტიკის ამოცანებს, ღირებულებებს, რომელსაც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მათ ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებსა და აღნიშნულ პროცესში ჩართულ პირებს.
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში განსახორციელებელ აქტივობებს, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ორგანიზებას, ადამიანური რესურსების მართვასა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. ასევე, პროფესიული განვითარებას, მოტივაციის ზრდის მექანიზმებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

სასკოლო დროს, სკოლის ტერიტორიაზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა.

უსაფრთხოების პოლიტიკით სკოლა განსაზღვრავს პოლიტიკის მიზნებს, **უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმებს,** სკოლის ქონების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებსა და მექანიზმებს.

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადო5აებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით.

სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დაცვის თანამშრომლები და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები.

სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცისთვის შემოღებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების კონტროლისათვის დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები.

სკოლაში მუდმივად ხდება შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და დამტკიცებულია სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. სკოლის შენობაში, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას ჰყავს სამედიცინო პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს დაშავებულთათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

მატერიალური რესურსები და ინფრატრუქტურა

სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა.

სკოლას აქვს საჭირო მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა საჭირო რესურსები. შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები, სასწავლო პროცესისთვის საჭირო სივრცეები, როგორიცაა ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, სპორტული დარბაზი, სასადილო, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და რესურსოთახი. სკოლას აქვს ეზო, სადაც განთავსებულია ღია სპორტული მოედანი. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისათვის და უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო.

საინფორმაციო რესურსები

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შედგება პერსონალური და პორტატული კომპიუტერებისგან, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასწავლო დანიშნულებით. სკოლას აქვს პროექტორები და პრინტერები. სკოლა უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტით.

სკოლაში უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსაწავლეებსა და მასწავლებლებს. სკოლის მოსწავლეთა კომპიუტერით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეები აღჭურვილნი არიან პორტაბელური კომპიუტერებით.

სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა და ასევე იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სკოლას აქვს აქტიური გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), რომლითაც უზრუნვეყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციი გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას.

ფინანსური რესურსები

სკოლას აქვს გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია შემოსავალი და ხარჯი. სკოლის შემოსავალი შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან და მოსწავლეთათვის გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისგან.

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება დეკემბრის ბოლოს და წლის განმავლობაში ხორციელდება ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების დაზუსტება.

მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები

მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი

რეაგირების მექანიზმებს, დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.
სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს.
სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან სახელმძღვანელოებით, უსასყიდლოდ.
სკოლაში დაცულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას და სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას.
სკოლა უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველას მოსწავლისათვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო სერვისების შეთავაზებას. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები.